ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №662177

ნომერი: AR1126388

თარიღი : 22.04.2013

გაცემის თარიღი : 10.05.2013

გაცნობის თარიღი : 11.05.2013

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , სოფელი გლდანი ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- იოსებ ტოროშელიძე პ/ნ 01010002596
- ახვლედიანის ქ.N7

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა

2013 წლის 22 აპრილის AR1126388 განცხადებით ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურს მომართა მოქალაქე იოსებ ტოროშელიძემ და მოითხოვა ქ. თბილისში, სოფელ გლდანში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკად. კოდი: #72.13.34.290) სპორტულ–გამაჯანსაღებელი კომპლექსის მოსაწყობად მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა.

სამსახურმა საკითხი, სპეციალური ზონალური ნებართვისა და ქალაქმშენებლობითი პირობების გაცემის თაობაზე, წარადგინა ქ. თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა 2013 წლის 24 აპრილის კომისიის სხდომაზე (ოქმი #16) განსახილველად.

«ზონალური» კომისიის გადაწყვეტილებით უარი ეთქვა წარმოდგენილ მიწის ნაკვეთზე სპორტულ–გამაჯანსაღებელი კომპლექსის სამშენებლოდ, სპეციალური ზონალური ნებართვისა და ქალაქმშენებლობითი პირობების გაცემის საკითხს და მიეცა რეკომენდაცია, რომ წარმოდგენილი იქნეს ესკიზური მასალა და დასაბუთება შემდგომ განსახილველად. “ზონალური კომისიის” 2013 წლის 24 აპრილის სხდომის ოქმი #16,

რეკომენდაციის და სამსახურის გადაწყვეტილების შესაბამისად,

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-100 მუხლის თანახმად

ვბრძანებ

უარი ეთქვას მოქალაქე იოსებ ტოროშელიძეს, ქ. თბილისში, სოფელ გლდანში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკად. კოდი: #72.13.34.290), სპორტულ–გამაჯანსაღებელი კომპლექსის მოსაწყობად მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენაზე.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.